603 № 11861
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
XI
28. X-4. XI 1994 წ. ● №37 (10905)
ფასი 200 000 კუპონი.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# უელსელებთან მატჩის მოლოდინში



როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან, 15 და 16 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებ გუნდებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში პაექრობა ექნებათ უელსის ეროვნულ ნაკრებ გუნდებთან. ორთავე მატჩი ჩატარდება თბილისში ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე და დაიწყება ერთი და იგივე დროს — დღის 14 საათზე.

ეროვნული ნაკრებების მატჩს იმსაჯებს ბრიგადა საფრანგეთიდან: ალან სარსი, დევიდ კოტრელი, ალან გოური, სარეზერვო — ფილიპ ლედუკი. ახალგაზრდული გუნდების მსაჯობა მინდობილი აქვთ თურქ არბიტრებს (მთავარი მსაჯი — ს.ჩელიკი).

## სტუმართა სავიზიტო ბარათები

**ნევილ სოუთჰოლი.** დაიბადა — 16.09.58, „ევერტონი", ნაკრებში ითამაშა 75-ჯერ.

**დევიდ ფილიპსი.** 29.07.63, „ნოტინჰემ ფორესტი", 53, 2 გოლი.

**ივენ რობერთსი.** 26.06.68, „ლეჩესტერ სიტი", დებიუტანტი.

**გარი სპიდი.** 08.09.69, „ლიდს იუნაიტედი", 26, 1.

**პაულ ბოდინი.** 13.09.64, „სვინდონ ტაუნი", 24, 3.

**ენდრიუ მელვილი.** 29.11.68, „სანდერლენდი", 20.

**კოლემან კრისი.** 10.06.71, „კრისტალ პალასი", 5,3.

**მარკ ბოვენი.** 07.12.63, „ნორვიჩ სიტი", 26,3.

**ჯერემი გოსი.** 11.05.65, „ნორვიჩ სიტი", 7.

**რინი ჯონსი.** 23.07.73, „შეფილდ უენდსდეი", 1.

**რინი გიგზი.** 29.11.73, „მანჩესტერ იუნაიტედი", 12,3.

**მარკ ჰაჯესი.** 01.11.63, „მანჩესტერ სიტი", 53, 12.

**ალენ ნილსონი.** 26.09.72, „ნიუკასტლ იუნაიტედი", 3.

**ბერი ჰორნი.** 18.05.62, „ევერტონი", 44, 2.

**იან რაში.** 20.10.61, „ლივერპული", 67, 28.

**კერი ჰაჯესი.** 08.04.71, „ლაიტონ თაუნი".

გარდა ამისა, შესაძლებელია ნაკრების შემადგენლობაში გამოუძახონ ნაკლებად ცნობილ ფეხბურთელებს:

**კრისტოფერ სიმონსი.** 08.03.71.
**ედრიან უილიამსი.** 16.08.71
**კრისტოფერ კორგმენი.** 10.06.70
**ბოუ ჰორნი.** 18.05.62
**მარკ პენბრიჯი.** 29.11.70
**ნორტან ბლეიკი.** 27.01.72
**ენტონი რობერთსი.** 04.08.69
**ჯონ კორფორზი.** 07.10.67
**სესან ბოუენი.** 24.08.72

უელსის ნაკრების მთავარი მწვრთნელია მიხაელ სმიტი, მას ეხმარება — დევიდ უილიამსი.

## საქართველოს 1994-95 წ.წ. ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟები

დაიწყო საქართველოს IV ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის, სადაც უკვე გაიმართა პირველი შეხვედრები: „თორსი" — „გეორგიკა" 93:91, „დინამო" — „შევარდენი" 89:37, „დინამო" — „თორსი" 110:60, „შევარდენი" — „გეორგიკა" 83:62, „შევარდენი" — „თორსი" 65:87, „დინამო" — „გეორგიკა" 103:57.

ტურნირის ექო ● მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში

# ალტერნატივა აღარ არის

ყოფილი იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში სამ დღეს გრძელდებოდა (7-9 ოქტომბერი) სამბისტთა XVIII მსოფლიოს ჩემპიონატი სამ ასაკობრივ ჯგუფში (ჭაბუკები, იუნიორები, მოზრდილები). შეჯიბრებაში მონაწილეობდა 18 ქვეყნის 441 მოჭიდავე, მათ შორის 13 სამბისტი საქართველოდან.

ჯერ ტრადიციის თანახმად გაგაცნობთ ჩემპიონთა და პრიზიორთა ვინაობას სამივე ასაკში.

ჭაბუკები (ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით): ა. ნეკრასოვი (რუსეთი), ვ. ხოჯიანი (სომხეთი), დ. ადამბაევი, კ. კუნსახინი (ორივე — ყაზახეთი), გ. ანგელოვი (ბულგარეთი), ა. დუროვი, ს. სმირნოვი, ე. მოროზოვი (სამივე — რუსეთი), ა. კოლომიეცი (უკრაინა), დ. დუნაევი (რუსეთი). ჭაბუკთა ტურნირში საქართველო სულ სამი მოჭიდავით იყო წარმოდგენილი. მათგან მხოლოდ ერთი, მამუკა მაზმიშვილი (48 კგ. ქარელი) გახდა პრიზიორი — ...ვა მესამე ადგილი.

იუნიორები. რ. ალექსანიანი (სომხეთი), ს. ალხაევი (რუსეთი), ნ. ხერგიანი (საქართველო), ს. მეკინიანი (სომხეთი), ვ. სკაჩოკი (ბელარუსი). ნ. ვერეშჩაგინი (რუსეთი), მ. ჯანაშვილი (საქართველო), ს. მეშნიკოვი (რუსეთი), ს. ტონკოვი (ბულგარეთი), ა. კორეცკი (უკრაინა). საქართველოს სამბისტთა ოთხკაციანმა დელეგაციამ გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაისაკუთრა რუსეთისა და უკრაინის ნაკრები კოლექტივე-

იხ. მე-2 გვ.



## ბლოხინი და საბერძნეთის ნაკრები?

მას შემდეგ, რაც ოლეგ ბლოხინმა, როგორც მწვრთნელმა კონტრაქტი შეწყვიტა კლუბ „პაოკთან" და სალონიკიდან ათენში დაბრუნდა, გადაწყვიტა ახალ წლამდე არ მიიღოს სხვა კლუბის წინადადება. მაგრამ საბერძნეთის გაზეთები დაბეჯითებით იტყობინებიან, რომ ბლოხინმა შეიძლება თვით ქვეყნის ნაკრები ჩაიბაროს.

თავად ბლოხინმა განაცხადა: დიახ, ჩემს კანდიდატურას კიდევ ორ პრეტენდენტთან ერთად იხილავენ, მაგრამ გადაწყვეტილებას მიიღებენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა აირჩევენ ფედერაციის ახალ პრეზიდენტს და პრეზიდიუმს. საკვირველია, თუმცა ფაქტია, საბერძნეთის ეროვნული ნაკრების თემა გადაეჯაჭვა პოლიტიკურ საკითხებს — ნაკრების ხელმძღვანელობის ადგილობრივი კანდიდატები მმართველ პოლიტიკურ პარტიებთან არიან დაკავშირებულნი.

ტელეფაქსი-მკითხველი

## კრივის სამყარო ტაისონის „მეორე ლაშქრობის" მოლოდინშია

კრივის სამყარო მოუთმენლად ელოდება 1995 წლის მაისს, როცა ციხიდან სასჯელმოხდილი გამოვა მაიკ ტაისონი.

ტაისონი ჯერჯერობით ერთადერთი მოკრივეა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონად კრივის სამივე უძლიერესი საერთაშორისო ასოციაციის მიერაა აღიარებული. სამწლიანი პატიმრობიდან გამოსვლის შემდეგ ტაისონი, როგორც ირკვევა, კვლავ დაუბრუნდება რინგს და „დაამყარებს წესრიგს" მძიმე წონაში — შეხვდება ახლანდელ ჩემპიონებს (ასეთი კი ამჟამად ორია). ყოველ შემთხვევაში ტაისონის რინგზე დაბრუნება ძალიან სურთ მის გულშემატკივარ ბიზნესმენებს, უკვე გამოჩნდნენ სპონსორები, იგეგმება მომავალი მატჩების სცენარი. ტაისონის პატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე კი ეკრანზე გამოვა ფილმი „ტაისონი". მთავარი როლის შემსრულებელზე მთელს ქვეყანაში გამოცხადებულია კონკურსი და ფილმის პროდიუსერმა როს გრინბურგმა უკვე გასინჯა ასობით ჭაბუკი, ისინი აღნაგობით და ტემპერამენტით საოცრად გვანან ტაისონს და...ერთმანეთს. გრინბურგი ტაისონის ყველა მატჩის პროდიუსერი იყო.

## მილოცვა

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ზუგდიდის სპორტული სკოლის დირექტორს ვაჟა ხაბეიშვილს.

## სუპერლიგა ნაჩქარევია — აცხადებს სერგეი ბელოვი

როგორ აფასებთ კალათბურთელთა სუპერლიგის შექმნას? რუსეთის ვაჟ კალათბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სერგეი ბელოვმა ამ შეკითხვას ასე უპასუხა: „ჩემი აზრით, ყველაფერი არც ისე მომხიბლავად გამოიყურება, როგორც ზოგიერთი ცდილობს წარმოიდგინოს. დიახ, რუსეთში გაჩნდა სუპერლიგა, რომელშიაც 6 გუნდი შედის, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს იდეა ნაჩქარევია და ხელოვნურადაა განხორციელებული ცხოვრებაში".

## დაჯილდოება

საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა რესპუბლიკაში ხელბურთის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო სიგელით დააჯილდოვა ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ მურადოვი.

# ხუთი მატჩი და ათასი სიბინძურე!

ამ წერილის დასკვნით ნაწილში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის გადამდგარი პოლკოვნიკი ვიქტორ ლიტვინოვი კარპოვ-კასპაროვის მატჩის ბნელ საქმეებს რომ ეხება, იმ ფაქტებსაც იხსენებს, რომელიც კასპაროვის ერთ-ერთ მწვრთნელ ზურაბ აზმაიფარაშვილის წინააღმდეგ მიმართულ მუქარას და ტერორისტულ გამოხდომებს შეეხება. „ლელო" თვით ზურაბისგან იღებდა მაშინ ინფორმაციებს მის წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ, რასაც ვაქვეყნებდით კიდეც. ასე რომ, ლიტვინოვის ნაამბობში ეჭვიც არ გვეპარება.

ლიტვინოვი: ჩემი პირველი რეაქცია ფელდმანის ვიზიტის შესახებ ასეთი იყო — ეს პროვოკაციაა კარპოვის მხრიდან. მე ვთხოვე კასპაროვს დორფმანისათვის არაფერი ეთქვა, სანამ მე არ ჩამოვიდოდი, რადგან ამნაირი საუბრების გამართვა სპეციალისტების საქმე გახლავთ. იგი ხომ ვერ ხვდებოდა, რა ვიცით ჩვენ და რა არა. დასაწყისში იგი დიდხანს უარყოფდა ყოველივეს. ფერს კარგავდა, წითლდებოდა, შემდეგ დაიწყო აღიარება. გარიკის პირველი რეაქცია ასეთი იყო — დორფმანი შინ, ლვოვში გაესტუმრებინა, მაგრამ მე ვთხოვე ზაგულბაში დაეტოვებინა იგი.



აი როგორ ახსნა დორფმანმა, რატომ არ შედგა მისი შეთანხმება კარპოვის მხარესთან. მას ეშინოდა, რომ მოატყუებდნენ. როგორც ჩანს, კარპოვსაც იგივესი ეშინოდა. დაკარგავდა ამ 100 ათას მანეთს (რა დიდი ფული იყო ეს მისთვის?), ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა 1985 წლის მატჩი? ერთი სიტყვით, ერთმანეთს ორი უძუნწესი შეხვდა, რომლებიც სიტყვებს არ ენდნენ. დორფმანის თქმით, მეორე პარტიის შემდეგ (პირველი რომ წააგო, მეორეში კარპოვი სასწაულებრივ გადარჩა — მ.კ.) მან გამოიძახა ფელდმანი და უბრძანა, რითიც უნდოდა, იმით გადაეხადა, მანეთებით იქნებოდა ეს თუ ვალუტით. მათ მოჰქონდათ დიპლომატი, დებდნენ მას ლენინის პროსპექტზე იმ სახლის შესასვლელთან, სადაც კასპაროვის გუნდის წევრები ცხოვრობდნენ. ურეკავდნენ. „გა-

იხ. მე-4 გვ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №34, 35, 36.

## მოკლედ...

ომარ თეთრაძე ბესკოვთან უთანხმოების გამო მოსკოვის „დინამოდან" იქვე, „სპარტაკში" გადავიდა.

აზიის XII თამაშებში (ხიროსიმა) ფეხბურთელთა ასპარეზობა მოიგო უზბეკეთის ნაკრებმა, ფინალში მან დაამარცხა ჩინელები — 4:2.

ბუენოს აირესი. მოჭადრაკე ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში 9 ტურის შემდეგ ლიდერობს ვალერი სალოვი (რუსეთი), მეორე ადგილზეა „ვაჟების რისხვა" იუდით პოლგარი.

ვლადიკავკაზი. აქ გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთისა და მსოფლიო ნაკრებების ამხანაგური მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 9:2.

# ვივა, ამიგო!

## 60 წლის ანზორ სალაძის პორტრეტისათვის

ყველასათვის საყვარელი კარიკატურისტი გიგლა ფირცხალავა რომ ცოცხალი იყოს, ერთ დოვლათიან ცხვირს დახატავდა და მიაწერდა — ანზორ სალაძე!..

მე უფრო საორჭოფო საქმეს ვკისრულობ — ცარიელა სიტყვებით ვცდილობ დაგიხატოთ იმ კაცის პორტრეტი, რომელიც ყველა ზესტაფონელს საკუთარი ოჯახის წევრი ჰგონია და, „გამარჯობის" წილ, შინაურულად ულიმიან. თუმცა, რატომ მხოლოდ ზესტაფონელს, როდესაც მის ნაღდ მეგობრად თვლიან თავს გურამ ფანჯიკიძე თუ თამაზ წივწივაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი თუ გურანდა გაბუნია, რობერტ ბარძიმაშვილი თუ ვახტანგ კიკაბიძე, რამაზ ჩხიკვაძე თუ თენგიზ არჩვაძე, დევი აბაშიძე თუ ჯემალ ღაღანიძე, მურთაზ ხურცილავა, სლავა მეტრეველი, კახი ასათიანი, სერგო კუტივაძე, ახლო საზღვარგარეთელი ეკრანის ვარსკვლავები: სოფი როტარუ და ვალენტინა ტოლკუნოვა...

უყვარს ტრადიციული ქართული სუფრა, ცეკვავს თავბრუდამხვევად და, შიგადაშიგ, „ლენდისაც" შემოსძახებს ხოლმე სალარიძისმაგვარი ტენორით. ეთაყვანება პოეზიას.

დროა, გაიხსნას ფრჩხილები — საუბარია მრავალმხრივ სპორტსმენზე, კლუბ „მარგვეთელის" ვეტერან ფეხბურთელზე, რომელიც 12 წლის განმავლობაში კაპიტნობდა უცვლელად გუნდს. შესანიშნავი ორი ნომერი გახლდათ და, ამავე დროს მოკრივეც იყო, მოცურავეც და ძალოსანიც.

ანზორ სალაძეს არც აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ შეუწყვეტია საყვარელ გუნდთან კავშირი — იყო გუნდ „მარგვეთელის" ფედერაციის წევრი, ფეხბურთის მოყვარულთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი, ბოლო შვიდი წელიწადია, „ფუდოკან კარატე-დოს" პრეზიდენტობს მშობლიურ ქალაქში.

უკვე კარგა ხანია, ანზორ სალაძე სამეურნეო სამუშაოებზეა, ხან სად, ხან — სად! ერთი უდავოა, ყველა ობიექტზე ჩინებულად უძღვებოდა საქმეს და, თუ ერთი სამსახურიდან მეორეზე გადაჰყავდათ, ალბათ იმიტომ, რომ იმ მეორეს უჭირდა. მავანი გაიკვირვებს — ასე ყველა სამსახურს როგორ „მოერგოო"?! ძალიან მარტივი საიდუმლო აქვს მის წარჩინებულ „უფროსობას" — ხალხს უყვარს განუზომლად, რიდი და პატივისცემა აქვთ მისი. თანამშრომელი მის თვალში პაიკი როდია, იოლად რომ შესწიროს მეტოქეს!.. არა, თანამშრომელი ანზორისათვის ლამის თანატოლიცაა, ზოგჯერ თანამეინახეც, თანამოაზროვნეც და, უმეტეს შემთხვევაში, თანამგრძნობელიც!.. იმდენად შიში არა აქვთ მისი, რამდენადაც — ხათრი. ეს ხათრია სწორედ იმის გარანტი, რომ სხვაგან ნაჩვევი მასთან ვერ ხელმრუდობს, ვერ ვირეშმაკობს, ვერ მაბეზღრობს, რადგან იცის, რომ მისი დამბეზღებელი თავადვე განიკითხება!...

აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა, მაგრამ ასეთი „ხალტურა" ანზორთან არ გამომივა. თანაც ეს პორტრეტი კი არა, ესკიზი თუ იქნებოდა. ამიტომ მოვუსმინოთ თვით იუბილარს, შიგადაშიგ კი მისი ავტორობით ახლახანს გამოცემულ წიგნს „ჩემი ბავშვობის სტადიონს" ჩავხედოთ ხოლმე.

ჩემდათავად ერთადერთი კითხვა დავუსვი ანზორს — უწინ რომ ესპანურ „ამიგოს" (მეგობარი) გეძახდნენ და პასუხად მომუჭნულ მარჯვენას შემართავდი, რატომ გადაეჩვიე-მეთქი. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა გამიბითურა ეგ ჟესტიო!.. იქვე მივაყოლე: გეტყობა პოლიტიკაზე გული გაგცრუებია-მეთქი. პოლიტიკა არასოდეს ყოფილა ჩემი ჰობი, მე სამეურნეო მუშაკი გახლავარ და, სადღეისოდ ჩემი პოლიტიკა ისაა, ხარისხოვანი პური მივაწოდო მომხმარებელსო.

იუმორით სულდგმულობს ანზორი. რამდენიმე წინადადებას რომ იტყვის, თუ იუმორი არ დაურთო, სული წაუვა, მაგრამ ჯერ მისი ზესტაფონელი მეგობრების ზურაბ კვეტენაძისა და დადუნ თურქაძის მშვენიერ წინასიტყვაობადართულ მის წიგნს ჩავხედოთ. რას არ გაიგებს მკითხველი ამ წიგნიდან:

სსრკ-ის ნაკრებმა 1968 წლიდან საბოლოოდ შეაქცია ზურგი ჩვენში დაკანონებულ დუბლვეს და აქცენტი უნივერსალიზმზე გადაიტანა. ამ მხრივ კი პირველ მერცხლად „დინამოს" განაპირა მცველი ვლადიმერ ელოშვილი მოგვევლინა, რომელსაც ფეხბურთის სპეციალისტები კიცხავდნენ, ბურთს რომ მოიგერიებ, თავდასხმაში რატომ გარბიხარო!.. ბრაზილიელი ნილტონ სანტოსი, იტალიელი ფაკეტი და ქართველი ხურცილავა ცოტა მოგვიანებით გამობრწყინდნენ!..

მიხეილ მესხზე რაღა არ თქმულა და დაწერილა, მაგრამ იქნებ ყველამ არ იცოდეს, რომ ერთხელ გაზეთმა „ფუტბოლ-ხოკეიმ" ასეთი რეკლამა მისცა: „დღეს მესხის წინააღმდეგ მედაკინი თამაშობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი დუელი სეზონის ულამაზესი პაექრობა იქნება. ნუ მოიკლებთ ამ სიამოვნებას. ანზორი დასძენს: „ვის რა სიამოვნება მიანიჭა ამ ორთაბრძოლამ, მაგას ვერ გეტყვით, მაგრამ თამაშის შემდეგ გაოგნებულმა მედაკინმა ფეხბურთის ფორმა გასახდელში რომ დაყარა და სამუდამოდ გამოეთხოვა ფეხბურთს, ეს ცნობილი ფაქტია!

როდის ჩატარდა პირველი საფეხბურთო მატჩი და სად? როდის იქნა შემოღებული 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა? რატომ ეწოდება იტალიის ერთ-ერთ გუნდს „ინტერნაციონალე"? როდის დაარსდა ფიფა? თბილისის „დინამო"? და სხვა მრავალი ასეთი კითხვის პასუხს მიიღებს დაინტერესებული მკითხველი ამ წიგნში.

წიგნში არის ქვეთავი, რომლისთვისაც საკმაოდ მობილური სიტყვა შეურქმევია ავტორს — „მახსენდება". გთავაზობთ ფრაგმენტს: „ერთხელ ზესტაფონის სპორტის თავკაცი, სულკურთხეული პროკოფ ლეკვეიშვილი გამარჯვებული სარდალივით შეიჭრა პირველი მდივნის კაბინეტში და შესძახა — სერგეი ბიქტორიჩ, მომილოცეთ გამარჯვება, ჩვენმა ცხენოსნებმა ჩოხატაურში საქართველოს პირველობაზე ჩატარებულ მეჯიბრში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავაო!..ალტაცებულმა მდივანმაც იქვე გასცა სათანადო ბრძანება გამარჯვებულების დაჯილდოების შესახებ!..სინამდვილეში კი, ჩოხატაურში, მასპინძლის გარდა, მარტო ზესტაფონის ცხენოსანთა გუნდი გამოცხადდა. პირველი ადგილი ჩოხატაურლებმა დაისაკუთრეს, ზესტაფონელები კი მექანიკურად გავიდნენ მეორეზე!..

ბუნებრივია, არ დავკმაყოფილდი წიგნში გაბნეული იუმორისტული პასაჟებით და გადავეკიდე ანზორს — კიდევ რა გახსენდება-მეთქი. ოდნავ ჩაფიქრდა და დაიწყო: ერთხელ, ამ ათიოდე წლის წინათ, სლავა მეტრეველი, გივი ნოდია და მე „დინამოს" საწვრთნელ კომპლექსს ვეწვიეთ დიღომში. მურთაზი საწვრთნელ ვარჯიშს ატარებდა, ჩამოვსხედით და დაველოდეთ, მოვიდა, შემოგვეხალისა, საუბარი გავაბით. უეცრად სლავას მკლავში წავეტანე და ჯიქურ ვკითხე — მურთაზ ხურცილავა უფრო დიდი კაპიტანია თუ მე-მეთქი. ჯერ იფიქრეს, კარგად ვერააო, მერე თვალებში ჩამაკვირდნენ და მიხვდნენ, ვანგლობდი. მურთაზი ხუთი წელი იყო ნაკრების კაპიტანი, ექვსი კი — „დინამოსი". მე კი მთელი თორმეტი წელიწადი „პადრიად" ვკაპიტნობდი ზესტაფონის „მარგვეთს"-მეთქი. იანგარიშეს და პირველობა „მომილოცეს"...

ასეთი იყო ჩვენი ამიგო, ასეთი გახლავთ დღესაც და, გამჩენმა დიდხანს აცოცხლოს, ასეთივე დარჩება ბოლომდე!..

გიზო ზარნაძე

## ნუ ავყვებით ჭორებს

ახლახან სპორტის დეპარტამენტში თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ჯანო ბაგრატიონთან გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ აწ განსვენებული ჩვენი სასიქადულო მოკრივის ზურაბ სარსანიას ახლობელი ნათესავები (ბიძა — ავთანდილ სარსანია და მისი მეუღლე), სატრანსპორტო პოლიციის უფროსის მოადგილე ვაჟა მეტრეველი, კრივის ფედერაციის წარმომადგენლები და მწვრთნელები.

ამ უბედურებამ შეძრა მთელი რესპუბლიკა, ძნელია მოიძებნოს ადამიანი, ვინც გულთან არ მიიტანა ეს მწუხარება. შეხვედრაზე ფედერაციის პრეზიდენტმა დავით კვაჭაძემ, კრივის სპეციალისტებმა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ნათელი მოჰფინეს იმ გაუგებრობებს, რომლებიც დღემდე კულისებში ტრიალებდა, მაგრამ საზოგადოებაში ძალზე უსიამოვნო ატმოსფეროს ქმნიდა.

თავისთავად ის, რომ ახლო ნათესავებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია ყველა საჭირბოროტო საკითხზე, ვფიქრობთ გააქარწყლებს და ჩააქრობს ვნებათაღელვას ისედაც უზომოდ დამწუხრებულ ოჯახში, საზოგადოების გარკვეულ ფენებში არსებული ვერსიების ირგვლივ.

ვსარგებლობთ შემთხვევით და გვინდა ვთხოვოთ საზოგადოებას, ქალაქ ფოთის მკვიდრთ, რომ ისედაც ძნელბედობის ჟამს შევეცადოთ ნუ ავყვებით ეჭვებსა და ჭორებს. თუ ვინმეს დააინტერესებს ჭეშმარიტება, ფედერაცია მზად არის ნებისმიერ საკითხზე ნებისმიერი ფორმით მისცეს არგუმენტირებული, დეტალური განმარტებები ყველა მტკივნეულ საკითხზე.

კრივის ეროვნული ფედერაცია

## ჯაბანი ქურდს ვერ დაიჭერს

დიახ, ჯაბანი ქურდს ვერ დაიჭერს. ამიტომ, როცა ლაპარაკია პოლიციელის ოპერატიულობაზე, პირველ ყოვლისა, მის ფიზიკურ წრთობას ითვალისწინებენ. ამ საქმეს ემსახურება თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს კადრების განყოფილების პირად შემადგენლობასთან მუშაობის ქვეგანყოფილება, რომელსაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ვიცეპოლკოვნიკი თემურ ლაკია ხელმძღვანელობს.

ამას წინათ ჩატარდა საქალაქო პირველობა მძლეოსნობაში და პირველი ადგილი წილად ხვდათ ხანძარსაწინააღმდეგო პოლიციის სამმართველოს მუშაკებს, მეორე — განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის პოლკს, მესამე — დიდუბის შს განყოფილებას.

მძლეოსნობაში ასპარეზობის შემდეგ დაიწყო საქალაქო ტურნირი ფეხბურთში 21 გუნდის მონაწილეობით.

# ალტერნატივა აღარ არის

დასაწყისი იხ. 1-ელ გვ.

ბის შემდეგ. როგორც ვხედავთ იუნიორთა ასპარეზობაში გვყავდა ორი ჩემპიონი: მესტიელი ნესტორ ხერგიანი (57 კგ) და კასპელი მამუკა ჯანაშვილი (82 კგ). კიდევ ორმა ქართველმა სამბისტმა ბრინჯაოს ჯილდოები დაიმსახურა: ესენია ზუგდიდელი ლაშა ფიფია (68 კგ.) და გორელი იოსებ ახალბედაშვილი (100 კგ).

მოზრდილთა ჩემპიონატების შედეგებს, ასევე ტრადიციულად უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ:

48 კგ.: 1. ნ. ციპანდინი (ბელარუსი), 2. ნ. ბაატარბოლდი (მონგოლეთი), 3. გ. საფარგალიევი (ყაზახეთი) და რ. მამედოვი (აზერბაიჯანი.

52: 1. დ. მამედოვი (აზერბაიჯანი, 2. ე. გრიგორიანი (სომხეთი), 3. ო. ცოგტცერელი (მონგოლეთი) და ვ. ტიხონოვი (ყირგიზეთი).

57: 1. ი. კლეიმანი (რუსეთი), 2. ო. მანუკიანი (სომხეთი), 3. ნ. აფანასიევი (უკრაინა) და გ. ჯილ[illegible]ელდიევი (ყაზახეთი).

62: 1. ა. მარქარიანი (რუსეთი), 2. მ. კურდღელაშვილი (საქართველო), 3. გ. ერთსოლომონი (მონგოლეთი) და ზ. შაიმარდანოვი (ყაზახეთი).

68: 1. ვ. დანილოვი (ბელარუსი), 2. ა. ჩოხელი (საქართველო), 3. ზ. ჟარტიბაევი (ყაზახეთი) და გ. ღაზარიანი (სომხეთი).

74: 1. დ. პურევტურენი (მონგოლეთი), 2. ა. კუსპიჩი (უკრაინა), 3. ჯ. მუზაშვილი (საქართველო) და შ. კასუმოვი (აზერბაიჯანი).82: 1. ი. კურინიო (რუსეთი), 2. ე. მარტიროსიანი (უკრაინა), 3. რ. სელხანოვი (ყაზახეთი) და ვ. ფლორესკუ (მოლდოვა).

90: 1. ს. ლოპოვოკი (რუსეთი), 2. ს. ზლობინი (უკრაინა), 3. ი. გამხიტაშვილი (საქართველო) და ს. ვორონიკი (ბელარუსი).

100: 1. რ. ბორისენკო (უკრაინა), 2. ა. დუნაევი (რუსეთი), 3. რ. როციავიჩუსი (ლიტვა) და ი. ახალბედაშვილი (საქართველო).

+100: 1. მ.ჰასანოვი (რუსეთი), 2. ვ. ემელიანოვი (ბელარუსი), 3. ო. გრიციშინი (უკრაინა) და ა. გრიბაუსკასი (ლიტვა).

● მოზრდილთა ტურნირში საქართველო ექვსი მოჭიდავით იყო წარმოდგენილი, მათგან ხუთმა საპრიზო ადგილები დაისაკუთრა: საგარეჯოელმა მამუკა კურდღელაშვილმა (62 კგ) და მცხეთელმა არჩილ ჩოხელმა (68 კგ) ვერცხლის მედლები მიიღეს, მცხეთელმა ჯონდო მუზაშვილმა (74 კგ), კასპელმა ივანე გამხიტაშვილმა (90 კგ) და გორელმა იოსებ ახალბედაშვილმა (100კგ.) კი ბრინჯაოსი. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალბედაშვილი ბრინჯაოს პრიზიორი იყო იუნიორებშიც. ქვეყნებს შორის საქართველოს სამბისტებმა არასრული შემადგენლობით მეხუთე ადგილი დაიკავეს რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის და მონგოლეთის სრული გუნდების შემდეგ.

რამდენიმე ზოგადი შენიშვნა ჩემპიონატზე. მას შემდეგ, რაც ორი დაპირისპირებული საერთაშორისო ფედერაცია გაერთიანდა მსგავს ტურნირებში გამარჯვება უფრო საპატიო და პრესტიჟული გახდა. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ შარშანდელმა ჩემპიონებმა და პრიზიორებმა ბევრ შემთხვევაში თითო საფეხურით დაიხიეს უკან. რას იზამ, მეტოქეობა წლეულს უფრო მძაფრი და უშეღავათო იყო.

მოზრდილთა ტურნირში მედლები თხუთმეტი ქვეყნის წარმომადგენლებმა გაითამაშეს:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 1 | - |
| უკრაინა | 1 | 3 | 2 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 1 |
| მონგოლეთი | 1 | 1 | 2 |
| აზერბაიჯანი | 1 | - | 2 |
| საქართველო | - | 2 | 3 |
| სომხეთი | - | 2 | 1 |
| ყაზახეთი | - | - | 5 |
| ლიტვა | - | - | 2 |
| ყირგიზეთი | - | - | 1 |

რაც შეეხება ოქროს მედლებს, აქ აშკარად შესამჩნევი იყო რუსეთის სამბისტთა უპირატესობა, რომლებმაც სამ ჩემპიონატში 13 უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს: შემდეგ კი იყვნენ უკრაინა, ბელარუსი და სომხეთი — 3-3, საქართველო, ბულგარეთი და ყაზახეთი — 2-2, მონგოლეთი და აზერბაიჯანი — 1-1.

„ლელოს" კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სამბისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ოლეგ იაძეს, რომელიც თან ახლდა ჩვენს გუნდს ნოვი-სადში და სთხოვა მას პასუხები გაეცა შეკითხვებზე:

● **შარშან მოზრდილთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს სამბისტებმა, თუ არ ვცდებით, ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამ მაჩვენებლებს თუ შევადარებთ წლევანდელი ტურნირის შედეგებს, უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე უკან გადაგვიდგამს ნაბიჯი.**

— სრული ჭეშმარიტებაა. ეს კი არა, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ასე თუ გაგრძელდა, გაისად ასეთი შედეგიც აღარ გვექნება.

● **რა გაქვთ მხედველობაში, როცა აცხადებთ, თუ ასე გაგრძელდაო?**

— უკიდურესად მძიმე ეკონომიკური პირობები. უფრო გასაგები ენით რომ ვთქვა, უფულობა.

● **ალბათ ხელფასებსა და ფულად ანაზღაურებას გულისხმობთ?**

— როგორ გეკადრებათ, ჩვენ არც ხელფასების მომატებას ვითხოვთ, არც, ვთქვათ, ფულს ფორმის შესაძენად (თუმცა, დაგვეთანხმებით ალბათ, რომ ესეც საჭიროა), ეს ორი თხოვნა როგორმე უნდა დაგვიკმაყოფილონ. ახალგაზრდა კაცს, სავარჯიშოდ რომ მიდის ცივ და უწყლო დარბაზში, რაღაც სტიმული მაინც უნდა ჰქონდეს, დაინტერესებული უნდა იყოს, რომ თუ ივარგა, ჩემპიონი გახდება და ხალხის სიყვარულს დაიმსახურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალგაზრდობა ხელიდან გამოგვეცლება, მით უფრო, რომ უცხოეთი მზად არის ჩვენი ლეგიონერების მასალებად.

● **კი მაგრამ, ხომ მოახერხეთ ნოვი-სადში გამგზავრება?**

— მსოფლიოს ჩემპიონატზე მაქსიმალურად შეკვეცილი შემადგენლობა წავიყვანეთ. ჩვენ სინანულით ვაღიარებთ, რომ შარშანდელთან შედარებით შედეგები გაგვიუარესდა. ახლა ჩამოგითვლით ვინ ვერ წავიყვანეთ უსახსრობის გამო ნოვი-სადში. თბილისში დარჩნენ გასული წლის მსოფლიოს ჩემპიონები ჭაბუკთა შორის გიორგი გოჩალეიშვილი, აბესალომ გვარლიანი, გიორგი ჩუბინიძე. ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ბესიკ ბასილაშვილი, აგრეთვე კონტინენტის ჩემპიონატის პრიზიორები ომარ მეტრეველი, მალხაზ შერეზადაშვილი. ახლა წარმოიდგინეთ, როგორი გუნდი შეგვეძლო გვყოლოდა ჩემპიონატზე?

● **მოზრდილებში თუ მოგიხდათ უარის თქმა ვინმე ღირსეულზე?**

— ვერ წავიყვანეთ ევროპის წლევანდელი ჩემპიონატისა და მსოფლიოს თასის მესამე პრიზიორი ბესიკ ოდიშვილი, მსოფლიოს ექსჩემპიონი და შარშანდელი ტურნირის ვერცხლის პრიზიორი ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონაში ვალერი პარუნაშვილი. მაგალითს, რამდენსაც გნებავთ მოგიყვანთ, რათა დარწმუნდეთ, რომ ჩვენ ნოვი-სადიდან 6-7 ოქროს, ან უფრო ზუსტად, სამივე წონაში ოცამდე სხვადასხვა ღირსების მედლის ჩამოტანა შეგვეძლო. წარმოიდგინეთ როგორ სიხარულს მივანიჭებდით გულშემატკივარს.

● **მომავალთან დაკავშირებით თუ გაქვთ რაიმე კონკრეტული სურვილი?**

— გაისად მაისში ნიჟნი-ნოვგოროდის მახლობლად, ქალაქ კსტოვოში მსოფლიოს თასის გათამაშება ეწყობა. გვაქვს დიდი შანსი ეს საპატიო პრიზი თბილისში ჩამოვიტანოთ. სანაცვლოდ ბევრს არაფერს ვითხოვთ. გვინდა ელემენტარული ხელშეწყობა, რათა ნორმალურად ვივარჯიშოთ და გაძლევთ სიტყვას, რომ მსოფლიოს თასს თბილისში ჩამოვაბრძანებთ. ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას ალტერნატივა აღარ აქვს: ან ყურადღება უნდა მოგვაქციონ, ან ჩვენ თავს ჩვენვე მივხედავთ, ოღონდ უკვე სხვა სტეროში.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### პირველი ჯგუფი

IX ტური, 23 ოქტომბერი

„დინამო“ (ბათუმი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 4-0

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 0-1

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 4-3

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 0-2

„დილა“ (გორი) — „დინამო“ (თბილისი) 0-0

„დინამო“ (ზუგდიდი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3-0

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „სამგურალი“ (წყალტუბო). მატჩი არ შედგა წყალტუბოელთა დაგვიანებით ჩამოსვლის გამო.

„ივერია“ (ხაშური) — „კახეთი“ (თელავი) 3-1.

**მსაჯები:** თ.მაჭარაძე (ხონი), თ.ლორთქიფანიძე, ვ.ჩოჩიშვილი (ორივე — თბილისიდან).

**„ივერია“:** ტოგონიძე, ნეკერაშვილი, სამხარაძე, ნოზაძე, ლაცაბიძე, ტყემალაძე, ლურსმანაშვილი, გაგუა (ჩადუნელი), მარღიშვილი, ქობელაშვილი, წიკლაური;

**„კახეთი“:** გვარამაძე, შალამბერიძე (ბაბულაიძე), კაციტაძე, სანადირაძე, სოლოლაშვილი, ჭვრიტიძე, ლუდუშაური, კანდელაკი, კალუჯა (სირაძე), მაისურაძე, სეფაშვილი.

**გოლები:** ლუდუშაური, ქობელაშვილი, წიკლაური, მარღიშვილი (პენალტით).

**გააფრთხილეს:** ჭვრიტიძე და ნოზაძე.

ამ მატჩში სპორტული იღბალი აშკარად მასპინძელთა მხარეზე იყო. თელაველთა ერთ-ერთი პირველი შეტევა შორიდან ძლიერი დარტყმით ლუდუშაურმა კარის აღებით დააგვირგვინა. სანამ ხაშურელები გონს მოეგებოდნენ, „კახეთს“ კიდევ ჰქონდა გოლის გატანის არაერთი შესაძლებლობა, მაგრამ ჭვრიტიძეს და კალუჟას დარტყმები გაუცუდდათ. დამაჯერებლად ითამაშა მეკარე ტოგონიძემაც. ტაიმის ბოლოს ხაშურელები საგრძნობლად გააქტიურდნენ და აქ აღმოჩნდა, რომ სტუმრების დაცვას ცენტრალურ ზონაში ყველაფერი რიგზე არ იყო. ამით კარგად ისარგებლა „ივერიამ“, რომლის ორი მოთამაშე — ლურსმანაშვილი და ქობელაშვილი ლამის ბურთიანად ბადეში აღმოჩნდა.

მატჩის მეორე ნახევრის დასაწყისი კვლავ სტუმართა უპირატესობით აღინიშნა. აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა ლუდუშაურმა და, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, თელაველები იქვე დაისაჯნენ: კონტრშეტევაზე გადასულმა „ივერიის“ ფეხბურთელებმა სტუმართა კარი აიღეს. მატჩის მიწურულს ხაშურელთა ვეტერანი ქობელაშვილი შეიჭრა „კახეთის“ საჯარიმო მოედანში, აქ თელაველ მცველებს ნერვებმა უღალატა და წესი დაარღვიეს. პენალტი ოსტატურად გამოიყენა მარღიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში ხაშურის „ივერიამ“ საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა, ამაღლდა მოთამაშეთა დისციპლინა, მყარი გახდა გუნდის საფინანსო მდგომარეობაც. ყოველივე ამას უკავშირებენ „ივერიის“ კლუბის პრეზიდენტად თამაზ ბერიძის დაბრუნებას, რომლის აქტიურმა მოღვაწეობამ ასეთი შედეგი გამოიღო.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

გასულ კვირას ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა ლიგის, თასების მფლობელთა თასისა და უეფას თასის მორიგი შეხვედრები.

### ჩემპიონთა ლიგა

III ტური

„ა“ ჯგუფი

„გეტებორგი“ (შვეცია) — „გალათასარაი“ (თურქეთი) 1-0

„მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 2-2

გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მანჩესტერი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 4 |
| „გეტებორგი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 4 |
| „ბარსელონა“ | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 3 |
| „გალათასარაი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |

„ბ“ ჯგუფი

„დინამო“ (კიევი, უკრაინა) — „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) 1-2

„სპარტაკი“ (მოსკოვი, რუსეთი) — „ბაიერნი“ (გერმანია) 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პარი სენ-ჟერმენი“ | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| „ბაიერნი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 3 |
| „დინამო“ კ. | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 2 |
| „სპარტაკი“ მ. | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |

„ც“ ჯგუფი

„პაიდუკი“ (ხორვატია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 2-1

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „სტიაუა“ (რუმინეთი) 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 5 |
| „პაიდუკი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 5 |
| „სტიაუა“ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| „ანდერლეხტი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

„დ“ ჯგუფი

„კაზინო“ (ავსტრია) — „აიაქსი“ (პოლანდია) 0-0

აეკ (საბერძნეთი) — „მილანი“ (იტალია) 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 5 |
| აეკ | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| „კაზინო“ | 3 | 0 | 2 | 1 | 0-3 | 2 |
| „მილანი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 1 |

### თასების მფლობელთა თასი

მერვედფინალი, პირველი მატჩები

„ბრიუგე“ (ბელგია) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) 1-0

„ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) — „კერდერი“ (გერმანია) 1-0

„ჩელსი“ (ინგლისი) — „აუსტრია“ (ავსტრია) 0-0

„ბრონდბიუ“ (დანია) — „არსენალი“ (ინგლისი) 1-2

„ტატრანი“ (სლოვაკეთი) — „სარაგოსა“ (ესპანეთი) 0-4

„სამპდორია“ (იტალია) — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) 3-0

„პორტუ“ (პორტუგალია) — ფერენცვაროში) (უნგრეთი) 6-0

„ბეშიქთაში“ (თურქეთი) — „ოსერი“ (საფრანგეთი) 2-2

### უეფას თასი

მეთექვსმეტედფინალი, პირველი მატჩები

„მარიტიმუ“ (პორტუგალია) — „იუვენტუსი“ (იტალია) 0-1

„ადმირა“ (ავსტრია) — „კანი“ (საფრანგეთი) 1-1

„კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია) — „ოდენსე“ (დანია) 1-1

„რაპიდი“ (რუმინეთი) — „აინტრახტი“ (გერმანია) 2-1

„ნიუკასლი“ (ინგლისი) — „ატლეტიკი“ (ესპანეთი) 3-2

„ნანტი“ (საფრანგეთი) — „ტექსტილშჩიკი“ (რუსეთი) 2-0

„ბოავიშტა“ (პორტუგალია) — „ნაპოლი“ (იტალია) 1-1

„ტრელებორგსი“ (შვეცია) — „ლაციო“ (იტალია) 0-0

„სლოვანი“ (სლოვაკეთი) — „დორტმუნდი“ (გერმანია) 2-1

„დინამო“ (მოსკოვი, რუსეთი) — „რეალი“ (მადრიდი) 2-2

აიკ (შვეცია) — „პარმა“ (იტალია) 0-1

„ტრაბზონსპორი (თურქეთი) — „ასტონ ვილა“ (ინგლისი) 1-0

„ტიროლი“ (ავსტრია) — „ლა-კორუნია“ (ესპანეთი) 2-0

„სიონი“ (შვეიცარია) — „მარსელი“ (საფრანგეთი) 2-0

გკს (პოლონეთი) — „ბორდო“ (საფრანგეთი) 1-0

„ჰონვედი“ (უნგრეთი) — „ლევერკუზენი“ (გერმანია) 0-2

## ავთანდილის თასი — ღირსეულთ

მოედანზე ტურნირის ორგანიზატორებს ავთანდილ ჭკუასელის ფოტოსურათი გამოეტანათ წითელი მიხაკით. ორმოცი დღეა, რაც ჩვენგან წავიდა შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელი ა.ჭკუასელი...

12-მა გუნდმა მოიყარა თავი მისი სახელობის ტურნირზე, რომელიც საქართველოს სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრის ინიციატივით გაიმართა.

გათამაშებაში სხვებთან ერთად აკადემიის ფეხბურთის სპეციალობის სამი გუნდი გამოდიოდა — „ქორები“ (III კურსი), „მგლები“ (II კურსი) და „იბერია“ (I კურსი).

ფინალში ერთმანეთს შეხვდა „ქორები“ და „იბერია“. ფრედ (3-3) შეხვედრის დამთავრების შემდეგ პენალტების სერიაში იღბლიანი უფროსკურსელები აღმოჩნდნენ (5-4). მალე გ.[illegible]ნიძის ხსოვნის ტურნირიც გაიმართება.

**არჩილ ნოზაძე,**

**სპორტის აკადემიის სპორტული ჟურნალისტიკის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი.**

## ნაკრებები და გოლეადორები

თანამედროვე საერთაშორისო ფეხბურთში უპირველეს სნაიპერად, უდავოდ, გერმანელი გერდ მიულერი უნდა ჩაითვალოს. მან 62-ჯერ ითამაშა თავისი ქვეყნის ნაკრებში და 69 გოლი გაიტანა, ეს კი საშუალოდ ყოველ მატჩში 1,112 გოლს უდრის. მის მიერ გატანილი ბურთები მაინცდამაინც ეფექტური არ ყოფილა, მაგრამ როგორც თვით მიულერს უყვარდა თქმა, „მთავარია ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთოს“. ეტყობა, ფეხბურთის ისტორიაში იშვიათად თუ ვინმეს ჰქონია საგოლე სიტუაციის ისეთი ალღო, როგორც მიულერს. იგი ნებისმიერი მდგომარეობიდან ურტყამდა მიზანში და შედეგსაც აღწევდა.

ბულგარულმა ჟურნალმა „სტარტმა“ გამოაქვეყნა სნაიპერთა სტატისტიკური მონაცემების ცხრილი. აქ პირველ ადგილზე გერდ მიულერია, მომდევნო ადგილები კი დაიკავეს იტალიელმა ლუიჯი რივამ (ნაკრებში ჩატარებულ ყოველ მატჩში 0,833 გოლი) და პოლონელმა ერნესტ პოლმა (0,816). შემდეგ მოდიან იუგოსლაველი ბორა კოსტიჩი (0,787), მისი თანამემამულე დუშან ბაიევიჩი (0,783), ინგლისელი ჯიმ გრივსი (0,771), მოზამბიკელი ეუსებიო (0,746), იუგოსლაველი მილან გალიჩი (0,725), უნგრელი ლაიოშ ტიხი (0,700), იუგოსლაველი სლავენ ზამბატა (0,677) და ა.შ.

თუ დროის იმ მონაკვეთს არ დავჯერდებით, რომელიც ზემოხსენებულმა ბულგარულმა ჟურნალმა აირჩია, ცხრილი სულ სხვანაირადაც შეიძლება შედგეს. ავიღოთ, მაგალითად, ჩვენს მიერ ადრე არაერთგზის ხსენებული იოზეფ ბიკანი. მას ხომ ნაკრების მატჩებში (უფრო სწორად, ნაკრებების, ვინაიდან იგი ჯერ ჩეხოსლოვაკიის სახელს იცავდა, შემდეგ კი ავსტრიისას), ყოველ მატჩში საშუალოდ 0,85 გოლი გაჰქონდა, ეს კი ლუიჯი რივას შედეგს აღემატება. საერთოდ კი, მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე უკეთესი შედეგები აქვს ფრანგ სნაიპერს ჟიუსტ ფონტენს, რომელმაც 21 მატჩში 30 გოლი გაიტანა, ეს კი მატჩში 1,428 გოლს უდრის. მეორე ადგილზეა არგენტინელი ლუის არტიმე (40 მატჩი ნაკრებში, 53 გოლი, საშუალოდ — 1,325). მესამეა შვედი ჰუნარ ნორდალი (1,323), მეოთხე — მისი თანამემამულე ინგვარ რუდელი (1,119), მხოლოდ მეხუთე ადგილზეა გერდ მიულერი (1,112), მეექვსეზე — განთქმული უნგრელი თავდამსხმელი შანდორ კოჩიში (1,009). შემდეგ ადგილზეა განთქმული ბრაზილიელი ფორვარდი ლეონიდას და სილვა, რომელმაც 25 მატჩში ზუსტად ამდენივე გოლი გაიტანა. სნაიპერთა პირველ ათეულში ვერ მოხვდა პელე, რომელმაც ბრაზილიის ნაკრებში 93-ჯერ ითამაშა და 78 გოლი გაიტანა, ეს კი საშუალოდ მატჩში 0,838 გოლს უდრის.

ახლა სნაიპერებსა და გოლებს მსოფლიო ჩემპიონატების თვალით შევხედოთ. აქ რეკორდსმენია ჟიუსტ ფონტენი, რომელმაც მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის 6 მატჩში 13 გოლი გაიტანა. მეორე ადგილზეა მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატის უპირველესი სნაიპერი შანდორ კოჩიში — 11 ბურთი 5 მატჩში. კოჩიშის შედეგი (2,200), შეიძლება ითქვას, პროცენტული თვალსაზრისით აღემატება ფონტენისას (2,167). რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატში გატანილ გოლებს, ამ მხრივ პირველია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების თავდამსხმელი უვე ზეელერი. იგი მსოფლიოს 4 ჩემპიონატში მონაწილეობდა და საერთო ანგარიშით 21 ბურთი გაიტანა.

ყველაზე მეტი გოლი მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატში გადიოდა, რომელიც შვეიცარიაში გაიმართა. აქ მონაწილე თექვსმეტმა გუნდმა 140 ბურთი გაიტანა. 26 მატჩში საშუალოდ 5,38 გოლი

### იან ფეკეტე

### საფეხბურთო დეკამერონი

არც ერთ მსოფლიო პირველობაზე არ ყოფილა ისეთი უხვგოლიანი მატჩი, როგორიც იმ წელს შვეიცარიაში გაიმართა ავსტრიისა და შვეიცარიის ნაკრებებს შორის. ეს მეოთხედფინალური შეხვედრა ანგარიშით 7:5 მოიგეს ავსტრიელებმა. მსოფლიოს 1938, 1954 და 1982 წლების ჩემპიონატებზე იყო შემთხვევები, როცა ერთ შეხვედრაში 11 ბურთი გაჰქონდათ, ეს იყო ჯერ ბრაზილია-პოლონეთის მატჩში (6:5), შემდეგ უნგრეთ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (8:3), ბოლოს კი უნგრეთ-სალვადორის (10:1) შეხვედრებში.

ვინ გაიტანა პირველი გოლი მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში 1930 წელს? აქ სტატისტიკოსები დავობენ: ასახელებენ აშშ-ს ნაკრების ფეხბურთელს ბერტ მაკგრის და ფრანგ ლუსიენ ლორენს. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ამ ჩემპიონატიდან, რომელიც ურუგვაიში გაიმართა, საკმაოდ მოუწესრიგებელი დოკუმენტაცია დაგვრჩა. ორი სადებიუტო მატჩი: აშშ — ბელგია (3:0) და საფრანგეთი — მექსიკა (4:1) 13 ივლისს გაიმართა ისეთ სტადიონებზე, სადაც დიდი საათები არც ჰქონდათ. ეს შეხვედრები, როგორც ჩანს, ერთდროულად არც დაწყებულა. მაგრამ პირველი ბურთი მე-10 წუთზე გაიტანა ფრანგმა — ოდნავ უფრო გვიან, მაგრამ ზუსტად როდის დაიწყო ეს შეხვედრები?

თუ პირველი გოლის ავტორის ვინაობა სადავოა, დანარჩენები ზუსტად არის ცნობილი. მეასე გოლის ავტორი მსოფლიო ჩემპიტონატებზე 1934 წლის 27 მაისს იტალიელი ანჯელო შიავიო გახდა იტალია — აშშ-ს მატჩში, მეორასე გოლი იმავე მსოფლიო ჩემპიონატში შვედმა ბო ნიბერგმა გაიტანა 12 ივნისს შვეცია — კუბის მატჩში, მესამასე გოლის ავტორია განთქმული ურუგვაელი ალჩიდე ჩიგია: მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატის მატჩში შვედების წინააღმდეგ 1950 წლის 13 ივნისს სან-პაულუს სტადიონზე. მეოთხასე გოლი გაიტანა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების თავდამსხმელმა მაქს მორლოკმა 1954 წლის 23 მარტს ლუგანოში გფრ — თურქეთის მატჩში, მეხუთასე გოლი შოტლანდიელ როი კოლინზს ეკუთვნის (1958 წლის 11 მაისს ნორჩეპინგში). მეექვსასე გოლი 1962 წლის 2 ივნისს გავიდა ინგლის — არგენტინის მატჩში. მისი ავტორია განთქმული ინგლისელი ფორვარდი ჯიმი გრივსი, მე-700 გოლი — ასეთ მიჯნას მიაღწია ესპანელმა ამარო ამანსიომ 1966 წლის 15 ივლისს შეფილდის სტადიონზე ესპანეთ — შვეიცარიის მატჩში. გავიდა კიდევ ოთხი წელი, 1970 წლის 7 ივნისს ბრაზილია — ინგლისის მატჩში ბრაზილიელმა ჟაირზინიომ მერვაასე ბურთი გაიტანა, ხოლო მე-900 გოლი — არგენტინელმა ჰექტორ იასალდემ 1974 წლის 23 ივნისს არგენტინა — ჰაიტის შეხვედრაში. 1978 წლის 11 ივნისს არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში საყურადღებო მოვლენა მოხდა: ჰოლანდია — შოტლანდიის მატჩში ცნობილმა ჰოლანდიელმა ფორვარდმა რობ რენსენბრინკმა საიუბილეო, მეათასე ბურთი გაიტანა. 1.100-ე გოლი კი საკმაოდ კურიოზული იყო, იგი 1982 წლის 20 ივნისს ინგლისელებთან შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიელთა მცველმა იოზეფ ბარმოშმა გაიტანა...საკუთარ კარში.

პირველი გოლი ევროპის პირველობებზე (თუ შესარჩევ შეხვედრებსაც გავითვალისწინებთ) გაიტანა საბჭოთა ფეხბურთელმა ანატოლი ილინმა უნგრელებთან მატჩში (3:1). ეს 1958 წლის 28 სექტემბერს მოხდა. მეასე გოლი ასევე საბჭოთა ფეხბურთელის ვიქტორ პონედელნიკის ანგარიშზე მოდის 1960 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში (სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია 3:0). მეხუთასე ბურთი ლუიჯი რივას ეკუთვნის 1967 წელს იტალია — კვიპროსის მატჩში (5:0), მეათასე — უელსელ ჯეიმსს (უელსი — ლუქსემბურგი 3:1) 1971 წელს. გავიდა კიდევ 8 წელი და 1979 წელს ბელგიელმა ვან დერ ელსტმა კიდევ ერთი, საიუბილეო, მე-1500 ბურთი გაიტანა (ბელგია — შოტლანდია 3:1).

ევროპული თასების აბსოლუტური სნაიპერი გახლავთ ესპანელი ალფრედო დი სტეფანო. მან ამ შეჯიბრებებზე მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში 49 გოლი გაიტანა. დი სტეფანოს, როგორც გოლეადორის, სხვა მიღწევებიც კარგად არის ცნობილი. საკმარისია ითქვას, რომ იგი ხუთჯერ იყო ესპანეთის ლიგის უპირველესი სნაიპერი. დი სტეფანოს რეკორდის მოსახსნელად ყველაზე უკეთესი შესაძლებლობა ჰქონდა ებრძოლა გერდ მიულერს, მაგრამ მან აშშ-ში გადაბარგება და ხელსაყრელი ფინანსური კონტრაქტის დადება ამჯობინა. საბოლოოდ მის ანგარიშზეა 35 მატჩში გატანილი 36 ბურთი. მაგრამ ერთი რეკორდი გერდ მიულერსაც ეკუთვნის: იგი ოთხჯერ იყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასების უპირველესი სნაიპერი.

დანიელ ალან სიმონსენს, რომელიც 1977 წელს ევროპის № 1 ფეხბურთელად აღიარეს, სხვაგვარი რეკორდი ეკუთვნის: ევროპული თასების ერთ მატჩში მას 5 ბურთი აქვს გატანილი.

სლოვაკურიდან თარგმნა
ბიძი გამრეკელმა

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ „ლელო“ №4, 6,8, 35.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

პორტუ (პორტუგალია). მსოფლიოს ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. ვაჟები. ერთეულები. 1. ალექსანდრე მოსკალენკო (რუსეთი) — 41 ქულა, 2. დმიტრი პოლიარუში 40,10, 3. ნიკოლოზ კოზაკი (ორივე — ბელარუსი) — 38.60. ქალები. ერთეულები. 1. ირინა კარავაევა (რუსეთი) — 39,80, 2. ანდრეა ჰოლმსი (ინგლისი) — 37,80, 3. ტატიანა ლუშინა (რუსეთი) — 37.40. გუნდური ადგილები. ქალები. 1. რუსეთი. ვაჟები 1. ბელარუსი.

ხიროსიმა (იაპონია). აზიის თამაშები. მძლეოსანთა ტურნირი. 800 მ. ქალები. 1. ციუ იუნსია — 1.59,85, 2. ლიუ ლი (ორივე ჩინეთი) — 2.00,66. ორთავე შედეგი თამაშების ახალი რეკორდია. 800 მ. ვაჟები. 1. ლი ჩუინ ილი (ჩინეთი) — 1.45,72. აზიის ყველაზე ძველი რეკორდის გამეორება. ყველაზე მეტი უმაღლესი ჯილდო ჯერჯერობით ჩინელებმა მოიპოვეს — 7. ორ-ორი ოქროს მედალი აქვთ კატარსა და სამხრეთ კორეას, თითო — ყაზახეთს, სირიას, ტაივანს.

ნოვი-სადი (იუგოსლავია). სამბოს საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით და ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის ტომოიუკი ხორიმას (იაპონია) დასტურით, წლეულს, 2-3 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატი.

მაგიდის ჩოგბურთი. პარიზი. მსოფლიოს თასის ფინალი. ქალები. რუსეთი — გერმანია 3:1, ვაჟები. ჩინეთი — შვეცია 3:1.

ავტომობილიზმი. სან-რემო (იტალია). მსოფლიო ჩემპიონატი რალიში (ბოლოსწინა ეტაპი). 1. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი), 2. კარლოს სალინასი (ესპანეთი), მდგომარეობა ბოლო ეტაპის წინ: 1. დიდიე ორიოლი — 110 ქულა, 2. კარლოს სალინასი — 99 ქულა, 3. იუხა კანკუნენი (ფინეთი) — 78 ქულა. შეგახსენებთ, რომ კანკუნენი მსოფლის ოთხგზის ჩემპიონია.

ველორბოლა. ბარსელონა. ერთდღიანი შეჯიბრება „მონჟუიკი“. 33 კილომეტრი. 1. ტონი რომინგერი (შვეიცარია) — 1:04.28, 2. კლაუდიო კიაპუჩი (იტალია) — მინუს 46 წამი, 3. სერხიო გარსია კასასი (ესპანეთი) — მინუს 1,17 წუთი.

მძლეოსნობა. დეტროიტი. ტრადიციული მარათონი, რომელიც ამ ქალაქის სახელს ატარებს. ვაჟები. 1. დონ ჯონსი (აშშ) — 2:21.24. ქალები. 1. მეი ელისონი (კანადა) — 2:32.55. ეს შედეგი ტრასის ახალი რეკორდია.

კალათბურთი. მოსკოვი. სუპერლიგა. „დინამო“ (მოსკოვი) — სტგ „სტროიტელი“ (სამარა) 96:80 (44:46). სნაიპერები: ბაბენკო („დინამო“) — 44 ქულა და პეტენიოვი („სტროიტელი“) — 27 ქულა. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა 88:98. ტერნერი („სპარტაკი“) — 34, ქულა, კისურინი (ცსკა) — 21 ქულა.

ძალოსნობა. რომი. ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის. ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით: ნ. რუსევი, ს. ანგელოვი, პ. პეტროვი (სამივე — ბულგარეთი), ვ. კრასნი (რუსეთი), რ. ილიე (რუმინეთი), ი. ელმურაზოვი (რუსეთი), ა. დემჩუკი (უკრაინა), ე, შიშლინიკოვი (რუსეთი), ა. ვარდანიანი (სომხეთი), ვ. გლუშკო (რუსეთი).

# ხუთი მატჩი და ათასი სიბინძურე!

დასაწყისი 1-ელ გვერდზე.

მოდი, წაიღე“. დორფმანი არ გამოდიოდა. დიპლომატი 50 ათასი დოლარითა და 50 ათასი მანეთით საცოდავად იდო სახლის შესასვლელთან. ურეკავდნენ „გამოდი, წაიღე“. კვლავ არ გამოდიოდა...

მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ფელდმანის ვიზიტს ბაქოში კარპოვმა მისცა სანქცია და მას შორს გათვლილი მიზნები ჰქონდა. ვფიქრობ, უნდოდათ ჩვენთვის ძირითადი მწვრთნელი წაერთვათ, რომელიც ვლადიმიროვის სკანდალის შემდეგ დარჩა. ამიტომ დორფმანის გამოჩენამ ესპანეთში, კასპაროვის გუნდში, რა თქმა უნდა, შთაბეჭდილება მოახდინა — ამ ჩანაფიქრისგან, როგორც ჩანს, არაფერი გამოვიდა. უნდა ღირსეული მივუზღოთ გარიკს: მან მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, იცოდა, რომ მის გვერდითაა ადამიანი, რომელმაც ერთხელ უკვე გასცა.

ფელდმანი ასეთ მხილებებს თვითონ ვერ გაბედავდა. მეტისმეტად დიდი რისკი იყო. მოთამაშეები. ტოტალიზატორი. დამნაშავეთა სამყარო. იგი, რა თქმა უნდა, არაფერს წარმოადგენს, სრულიად უმნიშვნელო ადამიანია. მოსპობენ — არავინ დაიწყებს ამის გამოძიებას. თუმცა შესაძლებელია, იმ გუნდშიც დაიწყოს შეხლა-შემოხლა, შეიძლება ისიც დაიშალოს, კარპოვი ჩემპიონი აღარ არის, სისტემა იშლება, ძველი ავტორიტეტი და გავლენა უკვე აღარ არსებობს...კაგებეს აჩრდილი, რა თქმა უნდა, კარპოვის ყველა ასეთ აქციაში ისევ არსებობს.

არ არის გამორიცხული, რომ ეს იყო თვით კარპოვის კომპრიმენტირების ცდაც, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ ხმაური არ აგვეტეხა, მორიგი სკანდალი მატჩის წინ გარიკის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას მეტ ზიანს მოუტანდა, ვიდრე კარპოვს. მით უმეტეს, რომ ამ გაუთავებელმა მატჩებმა გარიკი მორალურად გადაღალეს, მისი მდგომარეობა ესპანეთში სრულიადაც არ იყო იოლი.

რამდენიმე წლის შემდეგ კასპაროვის ერთ-ერთმა მწვრთნელმა, დიდოსტატმა მიხეილ გურევიჩმა ბრიუსელში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ 1987 წლის 28 ივნისს მის ნომერში მოსკოვის სასტუმრო „სპორტში“ შევიდა ალექსანდრე ფელდმანი:

— კაგებეს ეს თანამშრომელი შეეცადა ჩემს მოსყიდვას. მან მე დიდი თანხა შემომთავაზა, რათა კვლავ გამეგრძელებინა მუშაობა კასპაროვთან და კარპოვისათვის ცნობები გადამეცა. როცა უარი ვუთხარი, მუქარა დამიწყო. იგი ძალზე კარგად იყო ინფორმირებული და დარწმუნებული ვარ, ამ ინფორმაციას კაგებესაგან იღებდა.

— ყველაფერი, რასაც თქვენ კაგებეზე ამბობთ, გასაგებია. მაგრამ თქვენ ხომ არ შეგიძლიათ ზუსტად ამტკიცოთ, რომ კარპოვი უშუალოდ მონაწილეობდა ამ საქმეში? — ჰკითხეს გურევიჩს დარბაზიდან.

— ამ კაცმა კარპოვი დაასახელა. და მე არა მქონდა საბუთი მისთვის არ დამეჯერა. მე, რა თქმა უნდა, არ შემიძლია ამის დამტკიცება, მაგრამ კაგებემ ბევრი ისეთი რამ გააკეთა, რომელსაც ახლა ვერ დაადგენ.

1990 წლის სექტემბერში კასპაროვის სხვა მწვრთნელმა, დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა განაცხადა, რომ უცნობი, რომელმაც თავი ლიტველ არტურ იონისად გააცნო, თავაზობდა მას 100 ათას დოლარს „ყოველდღიურ, მაგრამ ნამდვილ ინფორმაციისთვის კასპაროვ-კარპოვის მატჩის შესახებ. თუკი კარპოვი წააგებდა, ეს თანხა [illegible] ათასი დოლარი უნდა ყოფილიყო“. [illegible] უარი მიიღო, „არტურმა“ მუქ[illegible] დაიწყო, რომ მის უკან ძლიერი ადამ[illegible]ები დგანან და ისინი მაინც აიძულებენ აზმაიფარაშვილს გააკეთოს ის, რაც მათ სჭირდებათ. გამოთხოვებისას ურჩია ზურაბს „ოჯახზე ეფიქრა“ და დაპირდა, რომ მოსვენებას არ მისცემდა. სულ მალე ამის შემდეგ ვიღაცა შეეცადა თბილისში აზმაიფარაშვილის ბინა დაეწვა. ადგილზე მისულმა მილიციამ აღმოაჩინა დამწვარი კარები შესასვლელში და გაზეთში გახვეული მოწყობილობა დაწვისათვის. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. „არ არის ცნობილი იმათი სახელები, ვინც ამ აქციის უკან დგას, მაგრამ მისი პროვოკაციული ხასიათი ნათელია“ — დაასკვნა გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“. კარპოვის რეაქცია კი ასეთი იყო: „ჩვენს დროში ყველაფრის მოგონება შეიძლება, პრესის ნებისმიერი განცხადების კომენტარებს აზრი არა აქვს“.

**მელიქ-კარამოვი:** ვლადიმერ პეტრეს ძევ, რას გიკარნახებთ თქვენი პროფესიული გამოცდილება: კასპაროვის წინააღმდეგ მიმართული მუშაობა — ეს იყო კარპოვის პირადი ინიციატივა თუ ინიციატივა საბჭოთა კავშირის კაგებეს ეკუთვნოდა?

**ლიტვინოვი:** შემკვეთი, რა თქმა უნდა, კარპოვი იყო, შემსრულებლებს კი პოულობდნენ, პროფესიონალები არჩევდნენ. ისინი ხომ მუდმივად და გეგმაზომიერად სწავლობდნენ კასპაროვის გარემოცვას, განსაკუთრებით კი მის გუნდს.

რატომ იყო მაინცდამაინც შემკვეთი კარპოვი? იმიტომ, რომ მას ამ ინფორმაციის გამოყენება არ მოენდომებინა, მას რომ მისადმი ინტერესი არ გამოეჩინა, სხვას იგი არაფრად სჭირდებოდა. როგორ შეიქმნა ასეთი სიტუაცია? მე მხოლოდ საკუთარ აზრს გამოვთქვამ. კარპოვის მატჩის მომზადების დროს ფიშერთან, მით უმეტეს, კორჩნოისთან, როცა ორი სისტემის იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ მწვერვალს მიაღწია, საბჭოთა მხარე ყველაფერს აკეთებდა, რათა ჯერ წაერთვა, შემდეგ კი შეენარჩუნებინა საჭადრაკო გვირგვინი. საჭადრაკო გამარჯვება აღიქმებოდა, როგორც თვალსაჩინო წარმატება მთელ „ფრონტის ხაზზე“. ასე გადავიდა სპორტული შეჯიბრებისათვის მზადება სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში. სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მთელი გუნდი გაემგზავრა ბაგიოში. და, ბუნებრივია, კარპოვსაც გაუჩნდა გრძნობა, და, რაც მთავარია, ცოდნა, როგორ მიეღო სპეციფიკური გზით ინფორმაცია. ამის უზრუნველყოფას კი მხოლოდ კაგებე შეძლებდა. ამ საქმეში ჩააბეს ძალები, რომლებიც კარპოვის დაცვით იყვნენ დაკავებულნი, ეს კი ყოველთვის მოსწონს იმას, ვისაც იცავენ, იგი თავს „სხვა განზომილებაში“ გრძნობს, პირამიდის ყველაზე უფრო მაღალ მწვერვალზე.

კავშირები ფიდეს მომავალ პრეზიდენტთან კამპომანესთან ჩვენი თანამშრომლების მიერ ჯერ კიდევ ბაგიოში დამყარდა. მაშინ, როდესაც იგი ფილიპინების საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი იყო. კამპომანესი მატჩის დროს აქტიურად მონაწილეობდა ჩვენს „სპეციალურ“ ღონისძიებებში.

ამრიგად, ჯერ კიდევ 70-იანი წლების შუიდან კარპოვს ჰქონდა მუშაობაში სპეცსამსახურების ჩაბმის გამოცდილება, მათი სპეციფიკური მეთოდებით. არც ერთი მოჭადრაკე არც მანამდე, არც მის შემდეგ ასეთ იარაღს ხომ არ ფლობდა. არავის ჰქონია კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფა, დაცვა კაგებეს ოფიცრებით.

### ეპილოგის მაგიერ

გაზეთმა „მოსკოვსკი კომსომოლეცმა“ გამოაქვეყნა ანატოლი კარპოვის შემდეგი ექსპრესკომენტარი.

● **ანატოლი ევგენის ძევ, შეგიძლიათ მოკლედ მაინც შეაფასოთ „ოგონიოკის“ პუბლიკაცია?**

— შემიძლია, თანაც ერთი სიტყვით, მაგრამ არ ვიცი, გამოიყენებს თუ არა თქვენი გაზეთი არანორმატიულ ლექსიკას.

● **გასაგებია. მაგრამ რა ვუყოთ კაგებეს დოკუმენტებს, რომლებსაც თავის გამომჟღავნებებში მელიქ-კარამოვი ეყრდნობა?**

— ყველა ეს დოკუმენტი, ჟურნალში მათ ცნობები ეწოდებათ, ერთსადაიმავე პირს — კაგებეს პოდპოლკოვნიკ ვ. ლიტვინოვს ეკუთვნის. თავის დროზე იგი მიწვეული იყო კასპაროვის ხაკოეპ ში და სახელმწიფოს ხარჯზე მრავალი ქვეყანა შემოიარა. „ნდობა“ კი რითიმე უნდა გაამართლო (ამას პროფესია მოითხოვს!) და აი ლიტვინოვი წერდა თავის ცნობებს — დასმენებს (მე მათ სრულ აბდაუბდას „филькина грамота“-ს ვუწოდებდი), სანამ მე და კასპაროვი საჭადრაკო დაფასთან ვებრძოდით ერთმანეთს, თავისუფალი დრო ლიტვინოვს, რამდენიც გნებავთ, იმდენი ჰქონდა და ამ მშვენიერი ორგანიზაციის თანამშრომელს ქაღალდზე გადაჰქონდა ყველაფერი, რაც კი თავში მოუვიდოდა.

მოგვაწოდა
**გივი გამრეკელმა.**

---

## თეიმურაზ ყიფიანი



70 წლისა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი თეიმურაზ ყიფიანი.

მისი შრომითი ბიოგრაფია მთლიანად დაკავშირებული იყო „დინამოს“ სტადიონთან. 1947 წელს აქ დაიწყო მუშაობა სასწავლო ნაწილის რეგისტრატორად, შემდეგ იყო ინსტრუქტორ-მეთოდისტი, 1950 წლიდან კი დირექტორის მოადგილე. 1955 წლიდან, სპორტკომბინატის შექმნის დღიდან, სტადიონის დირექტორად დაინიშნა, 1957-1984 წლებში კი სპორტკომბინატის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. პერსონალურ პენსიაზე გასვლის შემდეგ გარდაცვალებამდე სპორტული განყოფილების უფროსი იყო. მეორე მსოფლიო ომში სკოლის დამთავრებისთანავე გაიწვიეს, მიღებული ჰქონდა მედლები. შრომით ფრონტზე დაჯილდოებული იყო „დინამოს“, „ვეტერანის“ აგრეთვე „ფიზიკური კულტურისა და სპორტის წარჩინებულის“ საპატიო ნიშნებით. 1983 წელს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა.

ნიჭიერი ორგანიზატორის, უმწიკვლო პიროვნების თეიმურაზ ყიფიანის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის თანამშრომლები.**

## მერაბ მეძმარიაშვილი



მოულოდნელმა სიკვდილმა 50 წლის ასაკში გამოგვაცალა შესანიშნავი ადამიანის, 60-იან წლებში საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ცხენოსნის, მერაბ მეძმარიაშვილის სიცოცხლე.

საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში არაერთხელ გამოსულა სარბიელზე მაშინდელ საკავშირო შეჯიბრებებში, იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი. თბილისის იპოდრომზე დაოსტატდა და სხვადასხვა სამეურნეო თანამდებობაზე მუშაობის შემდეგ კვლავ იპოდრომს დაუბრუნდა, იყო იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენის გაერთიანების გენერალური დირექტორი, ოცნებობდა იპოდრომის აღორძინებაზე, საცხენოსნო სპორტის დაკარგული ტრადიციების აღდგენაზე, ბევრი რამ გააკეთა, ბევრიც განუხორციელებელი დარჩა. იმ ავბედით დღესაც, მეგობრებთან და ენთუზიასტებთან ერთად პროფესიონალ და მოყვარულ ცხენოსანთა კლუბის წესდებაზე მუშაობდა, ახალ საქმეშიც თავისი დიდი საძმოს თანადგომის იმედი ჰქონდა, შინ მისულს კი უეცრად უმტყუნა გულმა, გულმა, რომელიც ყმაწვილობიდან აღსავსე იყო მეგობრების სიყვარულით, სიკეთით, ქველმოქმ[illegible]ით, საქმისადმი ერთგულებით.

წავიდა ჩვენგან ადამიანური ღირსებებით გვირგვინმოსილი პიროვნება, უსაყვარლესი ადამიანი და ერთგული მუშაკი. იმედად ისღა დაგვრჩენია, რომ საქმე, რომელსაც ის ასე თავდადებით ემსახურებოდა, ბოლომდე მივიყვანოთ, ამით მივაგოთ ღირსეული პატივი მის ნათელ ხსოვნას.

**თბილისის სახელმწიფო იპოდრომის და ყულარის გაერთიანების ცხენსაშენის დირექცია;**
**პროფესიონალ და მოყვარულ ცხენოსანთა კლუბის შექმნის საინიციატივო ჯგუფი.**

### სპორტული ტელეეკრანი

„ოსტანკინო“

30 ოქტომბერი. 8.15. ოლიმპიური დილა. 8.50. სპორტლოტო. 22.50. სპორტული უიქენდი.

„როსია“

28 ოქტომბერი. 23.30. ფეხბურთი, რუსეთის ჩემპიონატი. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (სტავროპოლი). 0.25. „დინამო“ (მოსკოვი) — „ჟემჩუჟინა“ (სოჭი).

29 ოქტომბერი. 17.10. ფეხბურთი უსაზღვრებოდ.

---

● პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ ქვეყნის ორდენით დააჯილდოვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინამძღოლი ხუან ანტონიო სამარანჩი. საზეიმო მიღებაზე, რომელიც კრაკოვში მოეწყო, საუბარი იყო იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის სამარანჩს საერთოდ საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის და კერძოდ პოლონეთის რესპუბლიკის სპორტის წინაშე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ დღეებში პოლონეთის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს 75 წელი შეუსრულდა და მთელი ეს ცერემონიალი ამ თარიღს დაუკავშირდა.

● ჰელსინკში ევროპის 1994 წლის მძლეოსანთა პირველობაზე ბელგიელმა ბადროსმტყორცნელმა, 35 წლის მარი-პოლ გელდჰოფმა მოკრძალებული VII ადგილი დაიკავა. ამის მიუხედავად მას მოუხდა დოპინგ-კონტროლის გავლა, რომელმაც დაადასტურა სისხლში აკრძალული ნივთიერებების კვალი. ამ დანაშაულისათვის მძლეოსანი დაისაჯა, თუმცა დისკვალიფიკაციის ვადა ჯერ არაა დადგენილი. გელდჰოფი არის თავისი ქვეყნის რეკორდსმენი — 61,40 მ.

● ინგლისის, გერმანიის და იაპონიის ალპინისტებმა ჰიმალაის მთიანეთში სამი საკმაოდ რთული და პრესტიჟული მწვერვალი დაიპყრეს, მათ შორის ევერესტი. მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე (8848 მ. ზღვის დონიდან) წარმატებული ასვლა განახორციელა ბრიტანელ ექიმთა ჯგუფმა. გერმანელი მთამსვლელები ავიდნენ პუმორის მწვერვალზე (7161 მ.), ხოლო ოთხმა იაპონელმა ალპინისტმა ქალაქ კობედან დაიპყრო ტუკუჩა (6920 მ.).

● ინგლისელმა პროფესიონალმა მოკრივემ მაიკლ უოტსონმა სასამართლოში უჩივლა თავისი ქვეყნის ფედერაციას და მისგან ითხოვს ფულად კომპენსაციას 1,8 მილიონი დოლარის ოდენობით. საქმე ის გახლავთ, რომ ორი წლის წინ თანამემამულე კრის იუბენკთან დრამატულ ორთაბრძოლაში მან უმძიმესი ტრავმა მიიღო, რის გამოც ღრმა ხეიბარი გახდა. იგი დღემდე ყავარჯნებით დადის. ფედერაციას ყოფილი მოკრივე ადანაშაულებს იმაში, რომ ვერ გამოიჩინა ფხა და დროზე ვერ მიაშველა კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი.

● გარმიშ-პარტენკირხენის სწრაფდაშვების ტრასა სარეკორდოდ სწრაფია არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელს ევროპაში. აი სწორედ აქ წლეულს ზამთარში დაიღუპა ავსტრიელი სამთომოთხილამურე ულრიკე მაიერი. საერთაშორისო ფედერაციამ იმსჯელა ტრასის ავ-კარგიანობაზე და ამოიღო იგი მსოფლიო თასის გათამაშების რეესტრიდან.

● ამ დღეებში დაიდგა მემორიალური დაფა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ყოფილი სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელის, სანკტ-პეტერბურგელი ალექსანდრე ბელოვის საცხოვრებელ ბინაზე ზვერინსკის ქ. №38-ში.

● კრივის საერთაშორისო ფედერაციის სამართლებრივმა კომისიამ სამი თვით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა კუბის დელეგაციის მეთაურს ხოსე ბარიანტოსას, რომელმაც ბანგკოკში (ტაილანდი) მსოფლიოს თასის გათამაშების დროს საჩივარი შეიტანა საპელაციო ჟიურის სახელზე. დელეგაციის მეთაური დარწმუნებული იყო, რომ ადგილობრივი არბიტრები ხშირად ცდებოდნენ და ყოველთვის, გერმანელ მოკრივეთა სასარგებლოდ. აიბა-მ ეს პროტესტი შეურაცხმყოფელ ფაქტად მიიჩნია და სწორედ ამის გამო დასაჯა ბარიანტოსა.

● ცნობილი გახდა, რომ აქტიურ მოღვაწეობას თავს ანებებს ავსტრალიის ველოსპორტის ვეტერანი, 36 წლის ფილ ანდერსონი, რომლის კარიერა დაიწყო ამ თხუთმეტიოდე წლის წინ „ტურ დე ფრანსის“ ერთ-ერთ ეტაპზე გამარჯვებით. წლეულს კი მან თანამეგობრობის ქვეყნების თამაშებში ოქროს მედალი მოიგო. ამიერიდან ანდერსონი ავსტრალიის ეროვნული ნაკრების მზადებას ჩაუდგება სათავეში.

● გამოცხადდა მსოფლიოს საუკეთესო ველოსიპედისტთა (საგზატკეცილო რბოლა, პროფესიონალები) ახალი რეიტინგი, რომელშიც არსებითი არაფერი შეცვლილა. ყოველ შემთხვევაში, პირველ ადგილს მტკიცედ ინარჩუნებს შვეიცარიელი ტონი რომინგერი, რომელსაც 2361 ქულა აქვს, ლიდერს 481 ქულით ჩამორჩება „ტურ დე ფრანსის“ ოთხგზის ჩემპიონი ესპანელი მიგელ ინდურაინი. სპეციალისტთა აზრით შვეიცარიელი ველოსიპედისტის ესოდენ მაღალი რეიტინგი განაპირობა შეჯიბრებებში ხშირმა მონაწილეობამ, რასაც ვერ ვიტყვით ინდურაინზე.

● ამერიკელი ფიგურისტი ტონია ჰარდინგი, რომელმაც სახელი გაითქვა თანაგუნდელ ნენსი კერიგანზე თავდასხმის მოწყობით და ამიტომაც საერთაშორისო ფედერაციამ დისკვალიფიკაცია მისცა, დაბრუნებას აპირებს სპორტში,

## რა ხდება ქვეყანაზე



როგორც პროფესიონალი. ჟურნალისტების განცხადებით ეს მოხდება ან საბერძნეთში, ან იაპონიაში, სადაც ჰარდინგი საჩვენებელ გამოსვლებს გამართავს. ამჟამად იგი ინტენსიურად ვარჯიშობს და ამზადებს ახალ შოუ პროგრამას.

● როგორც ვიუწყებოდით, ცნობილმა იტალიელმა პროფესიონალმა ველოსიპედისტმა ჯანი ბუნიომ დოპინგის მიღებისათვის სავსებით სამართლიანი სასჯელი — ორი წლით დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. მაგრამ იტალიის პროფესიული ველოსპორტის ლიგის სადისციპლინო კომისიამ გარკვეული ლმობიერება გამოიჩინა სპორტსმენის მიმართ, რომელიც ადრე წესრიგის არავითარ დარღვევაში არ იყო შემჩნეული და სასჯელის ზომა სამ თვემდე შეუმცირა. ამ გადაწყვეტილებას ერთხმად მიესალმა იტალიის პრესა, რომელსაც მიაჩნია, რომ ბუნიო უკვე მკაცრად დაისაჯა იმით, რომ ვერ მიიღო მონაწილეობა სიცილიაში გამართულ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში. დოპინგის მიღებაში მხილება მოხდა „აგოსტინის თასის“ დამთავრების შემდეგ.

● „საუთჰემპტონის“ (ინგლისი) ფეხბურთელმა 26 წლის მეტ ლე ტისიემ, რომელიც მოტოსპორტის დიდ თაყვანისმცემლადაც ითვლება, ერთხელ განაცხადა, რომ თუკი ოდესმე ეღირსებოდა ინგლისის ნაკრებში თამაშს, მოტოციკლით შემოუვლიდა „უემბლის“ სტადიონის მთელ კომპლექსს. ამ დღეებში მან მონაწილეობა მიიღო ინგლის-რუმინეთის მატჩში, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელმა პირობა უნდა შეასრულოს. მალე დაინიშნება საინტერესო და არც ისე იოლი სამოტოციკლო „ლაშქრობის“ თარიღი.

● „სიეტლ სუპერსონიკის“ ფორვარდმა, პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა შონ კემპმა ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი თავის კლუბთან. 8-წლიანი ხელშეკრულების ღირებულება 26 მილიონი დოლარი გახლავთ. კონტრაქტის გაფორმების დღეს კემპმა დააგვიანა ვარჯიშზე, რისთვისაც მაშინვე დაჯარიმდა 1200 დოლარით.

● როგორც იტყობინებიან, „ფორმულა-1“-ში მოასპარეზე „ლიჟიე-რენოს“ გუნდში ინგლისელი ჯონ ჰერბერტი შეცვლის 31 წლის ფრანგ ერიკ ბერნარს. მოხდება ვეტერანის საზეიმო გაცილება და ოფიციალური დასაჩუქრება.

● ტანსაცმლის ცნობილმა ფირმამ „შევინიონმა“ იკისრა მიუნხენის ჰოკეისტთა კლუბის „მედოგზას“ („ცოფიანი ძაღლები“) სპონსორობა და გუნდის საჭიროებისათვის 1,5 მილიონი მარკა ჩარიცხა. მაგრამ კლუბის ადმინისტრაციის განცხადებით, ეს არ არის საკმარისი თანხა, ამიტომაც მთავარი მდივან-მენეჯერი ებერჰარდ იულიხერი განაგრძობს მოლაპარაკებას სხვა სპონსორებთან.

● კუვეიტ-ერაყის მოსალოდნელ კონფლიქტთან დაკავშირებით ხიროსიმაში მიმდინარე აზიის თამაშები მიატოვეს და შინ დაბრუნდნენ კუვეიტელი მსროლელები. დღეს ჩვენ კუვეიტში უფრო საჭირონი ვართ, ვიდრე ხიროსიმაში — განაცხადეს გამგზავრების წინ სპორტსმენებმა.

● 62 წლის ასაკში გარდაიცვალა ნიუ-იორკის ცნობილი მარათონის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზატორი ფრედ ლებოუ. ოფიციალური განცხადებით ნიუ-იორკის მარათონის უცვლელი დირექტორი წლების მანძილზე დაავადებული იყო თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნით.

● 1996 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში მოეწყობა. ამასთან დაკავშირებით შტატის გუბერნატორმა ზელ მილერმა თანხმობა მისცა ატლანტაში „საიუბილეო პარკის“ გაშენებას. ეს პარკი მიეძღვნება თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 100 წლისთავს და დაახლოებით 24 ჰექტარ ტერიტორიას დაიჭერს. მშენებლობის დაწყება ნავარაუდევია 1995 წლის გაზაფხულისათვის.

● ცნობილი ამერიკელი ავტომობილისტი, 54 წლის მარიო ანდრეტი თავს ანებებს „ინდიკარის“ რბოლას, თუმცა მოტორთა სამყაროდან წასვლას არ აპირებს. ამიერიდან იგი გამოვა ისეთ შეჯიბრებებში, სადაც მთავარი თვისებაა გამძლეობა. ამას რომ აცხადებდა, ანდრეტის უმთავრესად მხედველობაში ჰქონდა ორი რბოლა — „ლე-მანის 24 საათი“ და „დაიტონის 24 საათი“.

● მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს სიგრძეზე ხტომაში, გერმანელ ჰაიკე დრექსლერს გადაწყვეტილი აქვს 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში (გიოტებორგი) ძალები ერთბაშად ორ სახეობაში მოსინჯოს — სიგრძეზე ხტომასა და და შვიდჭიდში. სხვათა შორის, ორთავე დისციპლინაში მისი მთავარი მეტოქე იქნება ასევე მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ამერიკელი ჯეკი ჯოინერ-კერსი. შეგახსენებთ, რომ ჰაიკე დრექსლერი უკვე 29 წლისაა.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯიღაური.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“